



World Experience for Georgia

## საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა ენერგეტიკის სექტორში

დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ ქვეყნის დემოკრატიკული განვითარების უზრუნველსაყოფად ძალაუფლების განხორციელების პროცესს ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლი სჭირდება. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობის დონე მაღალია, ხელისუფლების ანგარიშვალდებულება საკუთარი მოქალაქეებისადმი რადიკალურად განსხვავდება იმ განვითარებადი ქვეყნებისაგან, სადაც მსგავსი პრაქტიკაჯერ არ არსებობს. ძალაუფლების კონცენტრაცია, საზოგადოებრივი კონტროლისა და ჩართულობის გარეშე, ყოველთვის შეიცავს ვიწრო ჯგუფური ინტერესების გატარების საფრთხეს მთლიანი საზოგადოების კეთილდღეობის ხარჯზე. ეს განსაკუთრებით საშიშია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის სადაც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ინსტიტუტები ჯერ კიდევ დამკვიდრების პროცესშია. თუ განვითარებისკენ ვისწრაფვით, შესაბამისი კონტროლის მექანიზმებიც უნდა ჩამოვყალიბოთ.

საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა ენერგეტიკულ სექტორში იმ დამატებითი ფაქტორებითაც არის განპირობებული, რომ გარდა ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების და გადასახადების გადამხდელთა ფულისა, (რაც მეტნაკლებად ყველა სამინისტროს განკარგულებაშია), ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა განკარგოს ქვეყნის ბუნებრივ რესურსები (წიაღისეული, წყალი, მიწა), ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა და პროექტები კი გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე, გარემოზე, ლანდშაფტსა და ბიომრავალფეროვნებაზე, რაც მდგრადი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორებია. ენერგეტიკა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგია, სადაც მცდარმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება რადიკალურად ცუდი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები მოიტანოს. ამასთან, ენერგეტიკის სექტორში დიდი თანხების კონცენტრაცია მოითხოვს გამჭვირვალე გარემოს, იმისთვის რომ კორუფციული საფრთხეები ავიცილოთ.

მთავრობას და ენერგეტიკის სამინისტროს, გარდა ჩამოთვლილი რესურსებისა, აქვს შესაძლებლობები, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, გამოიყენოს და განავითაროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები და საერთაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობის შესაძლებლობები, გამოიყენოს და განავითაროს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი, რითაც აითვისებს არსებულ შესაძლებლობებს და შექმნის ქვეყნის განვითარებისათვის დამატებით რესურსებს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მოქალაქეებმა იცოდნენ, რამდენად ოპტიმალურად ხდება ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური რესურსების გამოყენება; რამდენად ადეკვატურია მიღებული შედეგი, იზრდება რესურსების ბაზა, დაცულია გრძელვადიანი ენერგეტიკული უსაფრთხოება, ქვეყნის სხვა ინტერესები და ღირებულებები? ამ საკითხებში გარკვევა

საკმაოდ რთულია, მაგრამ საზოგადოებას შეუძლია შეამოწმოს მოქმედებს თუ არა ის პროცესები, რომელმაც უნდა უზრუნველყონ რომ ჩვენი რესურსები სწორად და მიზანშეწონილად გამოიყენება და კი არ ამოიწურება, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გამრავლდება. არის თუ არა ამ შესაძლებლობების აღრიცხვა და ანალიზი, მიზანმიმართული დაგეგმვა იმისთვის რომ მოხდეს ამ რესურსების კოორდინირებულად და ოპტიმალურად გამოყენება და განვითარება.

მართალია, საზოგადოების თითოეულ წევრს არ აქვს დამოუკიდებელი მონიტორინგის და ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ მნიშვნელოვანია პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და აკადემიური წრეები ხშირად ინტერესდებოდნენ სექტორში მიმდინარე მოვლენებით.

### **რა შეკითხვები უნდა დავსვათ ენერგეტიკული სექტორის საქმიანობის შეფასებისთვის?**

1. გაუმჯობესდა თუ არა ენერგეტიკული უსაფრთხოება? მეტი დამოუკიდებლობისკენ გადავდგით ნაბიჯი თუ პირიქით - უფრო დამოკიდებული გავხდით მომწოდებელ ქვეყნებზე?
2. გახდა თუ არა სექტორი ეკონომიკურად უფრო მომგებიანი, თუ მოითხოვს მეტ სუბსიდირებას სახელმწიფოს მხრიდან?
3. რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს მიერ გაცემული რესურსები მოსალოდნელ სარგებელს?  
*მაგალითად, შესაფასებელია ინვესტიციები. ინვესტორებმა კაპიტალი თავიანთი რისკით ჩადეს და ამით ქვეყნის განვითარებას შემატეს საკუთარი რესურსი თუ პირიქით სახელმწიფომ აიღო საბაზრო რისკები და გარანტირებული შემოსავალი შესთავაზა „ინვესტორს“ მომავალი ბიუჯეტის ხარჯზე?*
4. რა ენერგეტიკულ მიზნებს ემსახურება ესა თუ ის პროექტი და რამდენად ადეკვატურია ხარჯები ამ მიზნისა? ოპტიმალურია თუ არა განხორციელებული პროექტები? რამდენად გავითვალისწინეთ ყველა ალტერნატივა გადაწყვეტილების პროცესში?
5. რა გეგმის ნაწილია კონკრეტული ნაბიჯები, არსებობს თუ არა ასეთი გეგმა?
6. მოხდა თუ არა სექტორის ეფექტურობის ზრდა, ტექნოლოგიური წინსვლა, საიმედოობის გაზრდა?
7. გამოვიყენეთ და განვავითარეთ თუ არა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სატრანზიტო პროექტები და გავზარდეთ თუ არა მათი განხორციელების პერსპექტივები?
8. დღევანდელი მიღწევები ხომ არ უქმნის ხვალინდელ პრობლემებს ეკონომიკურ, ტერიტორიულ, ფინანსურ და გარემოს უსაფრთხოებას?
9. რამდენად ვიზრუნეთ იმაზე, რომ პროექტებით გარემოს მინიმალური ზიანი მიაღწეს?

მნიშვნელოვანია ამ და სხვა მსგავს კითხვების დასმა როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის, ასევე სტრატეგიების, კონკრეტული პროექტების, და გადაწყვეტილებების მიმართ, რისთვისაც შესამუშავებელია კონკრეტული კრიტერიუმები. ეს ზრდის ოფიციალური პირების ანგარიშვალდებულებას და პასუხიმგებლობას, საჭიროებს შესაბამის პროცედურებს, ანალიზს, დაგეგმვას და სტრატეგიების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს დარგის განვითარებას და ქვეყნის მეტ უსაფრთხოებას.